

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა
ჯანდაცვის სერვისებზე

გულიკო შოვნაძე
მაკა არაყიშვილი

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

პროექტის ხელმძღვანელი: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი თენგიზ ვერულავა



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: გულიკო შოვნაძე

მაკა არაყიშვილი

თარიღი: 26.06.2019

აბსტრაქტი

შესავალი: მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით სოციალურად დაუცველი მოსახლეობა მოცულია უმთავრესი ჯანდაცვის სერვისებით, რიგი პრობლემები მაინც რჩება მოუგვარებელი. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ნათლად გამოიკვეთოს ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის სოციალურად დაუცველ მოსახლეობას საჭირო სამედიცინო მომსახურების მიღებაში. კვლევის მიზანია ჯანდაცვის სერვისებზე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოში.

მეთოდოლოგია: რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოკითხულ იქნა 500 სოციალურად დაუცველი პირი და 7 სამედიცინო წარმომადგენელი.

შედეგები: გამოკითხულთა უმრავლესობა არ არის კმაყოფილი შეთავაზებული მომსახურებით და ასახელებს იმ ბარიერებს, რომლებსაც ხვდება სამედიცინო მომსახურებისას. უსახსრობა, შეთავაზებული სამედიცინო მომსახურებები და ინფორმაციის ნაკლებობა არის ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც სოციალურად დაუცველი პაციენტები ხვდებიან სამედიცინო მომსახურებისას. რაც შეეხება სამედიცინო წარმომადგენლებს, მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება ძირითადად მედიკამენტების სიძვირის პრობლემა, რაც პირდაპირ კავშირშია უსახსრობასთან, რადგან სოციალურად დაუცველ მოსახლეობას არ აქვს საშუალება შეიძინოს საჭირო მედიკამენტები სიძვირის გამო.

დასკვნა, რეკომენდაციები: ინფორმაციის ნაკლებობა ძირითად პრობლემას წარმოადგენს სოციალურად დაუცველებისთვის, რადგან ძირითადად ასაკიან მოსახლეობას არ აქვთ სრული ინფორმაცია თუ რა სამედიცინო შედეგებით სარგებლობენ, ამიტომ ხშირად უსახსრობის გამო მკურნალობენ საკუთარი ინიციატივით ექიმის გარეშე, დღესდღეობით ინფორმაციის გავრცელება და მიწოდება არ არის პრობლემა, რადგან არსებობს უამრავი ინფორმაციის გავრცელების საშუალება, ამიტომ უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნათლად და მკაფიოდ მოხდეს ინფორმაციის მიწოდება სოციალურად დაუცველი

პაციენტებისთვის. ასევე სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივება, რაც გულისხმობს ტრანსპორტირების პრობლემებსა და მედიკამენტების სიძვირეს, რადგან გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის აღნიშნული საკითხები რჩება მთავარ პრობლემად. უსახსრობა სწორედ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სოციალურად დაუცველი პაციენტებისთვის საჭირო მომსახურების მიღებისას, ამიტომ ხშირად არ მიმართავენ საავადმყოფოს და თვითმკურნალობით ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად ხდება გაუარესება და ზოგიერთ შემთხვევაში შედეგი სავალალოც არის. ასევე აუცილებელია აღმოიფხვრას არათანაბარი სამედიცინო მომსახურების პრობლემაც, რადგან არის შემთხვევები, როცა სამედიცინო წარმომადგენლის მხრიდან არის არასათანადო დამოკიდებულება სოციალურად დაუცველი პაციენტის მიმართ.

Abstract

Introduction: In this Master's thesis we have studied healthcare accessibility in Georgia for the socially vulnerable part of the population, comparing the situation to other countries. We chose this topic because the issue is quite relevant today as, in spite of the existing programs, a number of problems in healthcare remain unsolved, especially for socially vulnerable patients whose precarious financial situation creates many obstacles in accessing the necessary medical services. It's important to highlight the barriers that stop the socially vulnerable population from getting the treatment they need, as well as to consider ways of solving the problems we mention. The state of the healthcare sector when it comes to accessing medical services has established the need for the study we conducted.

Methodology: In the presented Master's thesis we have used quantitative as well as qualitative studies. In our quantitative study we surveyed the socially vulnerable part of the population, 500 people and 7 healthcare professionals. In the qualitative study we worked on the information provided to us by healthcare professionals.

Results: Our study unveiled the main problems stopping the socially vulnerable patients from having adequate access to healthcare. The majority of those surveyed are not happy with the services provided to them and name the obstacles they encounter in medical services. A lack of resources and information, as well as the quality of the offered medical services are some of the basic issues these patients usually struggle with. As for healthcare professionals, the information provided by them points to the high prices of medicine which are directly connected to the lack of resources, as the socially vulnerable population can't purchase necessary drugs due to how expensive they are.

Recommendations: The study pointed to various actions that need to be undertaken in order to treat the existing problems. The lack of information represents the gravest of problems for the socially vulnerable patients as the senior citizens often don't know what medical benefits they have a right to, so they start treatments on their own, without consulting a doctor, because they think they can't pay. It's not difficult to spread and provide information nowadays, as there's a huge amount of information channels and communication tools, so the priority should first and foremost be to use these channels correctly to reach the socially

vulnerable patients, providing them with clear and precise information. The next important action is facilitating the access, which means solving transportation and medicine price problems, as these are the two most important factors according to the surveyed patients. The aforementioned independent treatments without doctors due to a lack of resources often lead to a worsening of the patient's health and sometimes even lead to fatal outcomes. It is also necessary to solve the unequal access problem, as there are cases where healthcare professionals have an inappropriate attitude towards the socially vulnerable population.

მადლობა

მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ასოცირებულ პროფესორ თენგიზ ვერულავას, გაწეული მხარდაჭერისთვისა და დახმარებისთვის, ნაშრომზე მუშაობისას. ასევე მადლობას ვუხდით თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ჩვენს კვლევაში და გამოიჩინეს გულისხმიერება.